ახალი ხარაგაული

349 (8) 6 აპრილი, 2017 წ

ღორეშაში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში 25 წლიანი ინტერვალის შემდეგ საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ–გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე, პაატა ნადირაძე, ვიცე გუბერნატორი გიორგი ჭილვარია, მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. ღორეშის საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო და აღიჭურვა, სადაც ექვსი ადგილობრივი დასაქმდა.

იმერეთის გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე, ამბობს, რომ რეგიონში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობა ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გასულ წელს მხარეში 25 – ზე მეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება აშენდა, ხოლო 80 – მდე მათგანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ახალი საბავშვო ბაღის გახსნა პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მიულოცა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა.

,,მუნიციპალიტეტში ბაღების მშენებლობა კვლავ გრძელდება. დაახლოებით სამი სოფელია, სადაც ბაღებზე მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალ წელს ხარაგაულში ეს საკითხი მოგვარებული იქნება. ვფიქრობ, ასეთივე ტემპით უნდა გავაგრძელოთ სხვა მიმართულებებზეც მუშაობა. პრიორიტეტების შერჩევა კი მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს“, - დასძინა დეპუტატმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, თქმით, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ნადაბურში სულ მალე დაიწყება, რაც შეეხება საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულს, საკითხი მოლაპარაკების პროცესშია.

,,ვთვლი, რომ ადამიანის გონების, ქცევის უნარების პირველი ფორმირება სკოლამდელ დაწესებულებაში ხდება და ძალიან მახარებს, რომ ჩემი გამგებლობის პერიოდში შესაძლებელია ამ სასიკეთო საქმის გაგრძელება„,-აღნიშნა გამგებელმა.

სკოლამდელ გაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, მამუკა ჭიპაშვილი, განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ღორეშის საბავშვო ბაღში 25 აღსაზრდელი ირიცხება და თუკი მსურველთა რაოდენობა გაიზრდება, მომავალი წლისთვის ახალი ჯგუფის დამატება მოხდება.

შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რვა ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა, რამდენიმეს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში ბაღის გახსნა სოფელ წიფაში იგეგმება.

ამავე დღეს მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელი რეაბილიტირებული გზა მოინახულეს. 5 კმ–იანი მონაკვეთი ამ დრომდე სრულად ამორტიზებული იყო, რაც მგზავრებისა და ტრანსპორტის გადაადგილებას მნიშვნელოვნად აფერხებდა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 959 813 ლარით დაფინანსდა.

ლელა გუგულაშვილი

დეპუტატებმა ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის 20 ათასი ლარის გადაცემას მხარი არ დაუჭირეს

29 მარტს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. მისივე თქმით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 3 535 500 ლარი გამოეყო, აქედან 190 720 ლარი ნადაბურში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის, ხოლო 3 344 780 ლარი მუნიციპალიტეტის გზების მშენებლობისთვის დაიხარჯება. საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკა“ 20 000 ლარს ითხოვდა, პროექტის-„უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ განსახორციელებლად. როგორც სამსახურის დირექტორი, ნი-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

მთის განვითარების ფონდიდან სარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებითი თანხები გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებისთვის მთის განვითარების ფონდიდან 479 ათასი ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით მაღალმთიან სოფლებში ამორტიზებული გზების რეაბილიტაცია ჩატარდება. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ განხილვის შემდეგ პრიორიტეტად სამი სოფელი - გოლათუბანი, წიფა და ნუნისი შეარჩია. 170 274 ლარით სოფელ გოლათუბნის ცენტრალური გზა მობეტონდება. წიფა-გოლათუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის, დაახლოებით, 235 065 ლარი დაიხარჯება, საკურორტო სოფელ ნუნისის ცენტრალურ გზას მოსაწესრიგებლად 100 ათასი ლარი დასჭირდება. პროექტები, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მაისში დაიწყება და სამუშაოები აგვისტოს თვეში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ მთის განვითარების საბჭოს წევრი ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილია, რომელმაც აღნიშნული პროექტების დაფინანსებისთვის აქტიურად იმუშავა.

თამარ მაღრაძე

ღარიხევის დაწყებით სკოლას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, უფროსის დავით კიკნაძის, ინფორმაციით, ღარიხევის დაწყებით სკოლას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება. პროექტის სავარაუდო ღირებულება 75 000 ლარია. ასევე განხორციელდება ბორის საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები, რომლისთვისაც 190 000 ლარია გათვალისწინებული. სკოლა-პანსიონში დაგეგმილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა გადაადგილებისათვის პანდუსის მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება ზვარის საჯარო სკოლაშიც, რომლისთვისაც 275 000 ლარია დაიხარჯება.

როგორც დავით კიკნაძე აღნიშნავს, პროექტების განსახორციელებლად სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, აქტიურად იმუშავა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო უახლოეს დღეებში გამოაცხადებს ელექტრონულ ტენდერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამი საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებზე.

დასუფთავების აქცია სარაგაულში

პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო“ ახალი კამპანიის, „ლურჯი ნაკადულის,“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტებში დასუფთავების აქციები პერმანენტულად მიმდინარეობს. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ (დირექტორი თემურ ფურცელაძე) აქციაში აქტიურადაა ჩართული და თანამშრომლების მიერ ნაგავსაყრელების გასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება.

დასუფთავების აქციაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, გამგებლის მოადგილე არჩილ მაღრაძე და საჯარო მოხელეები ჩაერთნენ. მოხდა სოფელ საღანძილის ტერიტორიაზე მდებარე სპონტანური ნაგავსაყრელის გაწმენდა. აქციაში ზესტაფონი-ხარაგაულის კოორდინატორი მალხაზ პირველაშვილიც იღებდა მონაწილეობას.

ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

ნადაბურში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი 28 მარტს გამოაცხადა. პროექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 200 764 ლარია. ნადაბურის ახალი საბავშვო ბაღი ერთსართულიანი იქნება, გარე ეზოთი. პროექტით გათვალისწინებულია ბაღის ეზოში მოეწყოს ქვიშის სათამაშო მოედანი. სატენდერო წინადადებების მიღება 13 აპრილს დაიწყება და 18 აპრილს დასრულდება. გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 120 კალენდარულ დღეში უნდა დაასრულოს. შეგახსენებთ, რომ ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღის მშენებლობას რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 20 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ▶ 1 ᲒᲒ.

კოლოზ მაჭავარიანი, განმარტავს, მუნიციპალიტეტში სულ 59 უსინათლო პიროვნებაა და აქედან არაფორმალური განათლების მიღების სურვილი 15-მა გამოთქვა.

ნიკოლოზ მაჭავარიანის განცხადებას გამოეხმაურა საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, რომელმაც უსინათლოთა სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა. მისივე თქმით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში 59 უსინათლო პიროვნებაა რეგისტრირებული. აქედან ორი გარდაცვლილია, ორი მათგანი ლოგინადაა ჩავარდნილი, ორი პიროვნება თბილისში ცხოვრობს, ერთი - კასპში. 32 მათგანი 60 წელს გადაშორებულია, 3 შრომისუნარიანი, ხოლო ათი 30-დან - 59 წლამდეა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს, ჩამოთვლილი უსინათლო პიროვნებებიდან ბრაილის შრიფტით კითხვის შესწავლის სურვილი მხოლოდ ორმა მათგანმა გამოთქვა.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ამბობს, რომ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე ადამიანები ასაკის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს და ის პირები, რომელთა სიაც მან საკრებულოს წარუდგინა, მზად არიან, ჩაერთონ პროექტში.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, დაინტერესდა, თუკი ბიუჯეტში იმის რესურსი არსებობდა, ბიბლიოთეკისათვის დამატებითი თანხები გამოყოფილიყო, მაშინ რატომ მოხდა იქ თანამშრომლების გათავისუფლება?

საბოლოოდ, დეპუტატების უმრავლესობამ ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის 20 ათასი ლარის გადაცემას მხარი არ დაუჭირა.

აღნიშნული საკითხის განხილვა 3 აპრილს გამართულ საკრებულოს მორიგ სხომაზეც განახლდა. სხდომას „ზესტაფონის უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომელთა შემადგენლობაში ხარაგაულის მოქალაქეებიც შედიან.

„ზესტაფონის უსინათლოთა კავშირის“ თავმჯდომარე ვასილ ლომიძემ დეპუტატებს საკითხის გადახედვა კიდევ ერთხელ სთხოვა. მისი განმარტებით, ამ ადამიანებს ნამდვილად ესაჭიროებათ ბრაილის შრიფტით კითხვისა და კომპიუტერული ტექნიკის შესწავლა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე აღნიშნავს, რომ საკრებულო უსინათლოთა პროგრამის განხორციელების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ამისთვის თანხები სოციალურ პროგრამებს არ უნდა აკლდებოდეს.

ვარლამ ჭიპაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის პოზიცია გაიზიარა. მისივე განმარტებით, უსინათლო ადამიანების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ რეალურ პროექტს საკრებულოს უმრავლესობა მხარს დაუჭერდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი იყო დაუსაბუთებელი და ბუნდოვანი. „პროექტის უპირველესი მიზანი იყო ადამიანების დასაქმება და არა უსინათლოების დახმარება. უსინათლო ადამიანების შეცდომაში შეყვანა, თითქოს და საკრებულო მათთვის დახმარების წინააღმდეგია, სიცრუეა და იაფფასიანი პოპულიზმია.“- აღნიშნა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

ჭიპაშვილი ფინანსური სიმცირის გამო პროექტის ფარგლებში 8 პიროვნების დასაქმებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, მაშინ როდესაც აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მსურველი 15 ბენეფიციარია.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილი, პროექტის დაფინანსების წყაროზე საუბრობს. მისი თქმით, სოციალური ხარჯების შემცირება საჭირო არაა, თუ წარმომადგენლობითი ხარჯების შემცირება მოხდება.

სხდომის დასრულებისას „უსინათლოთა კავშირის“ წევრმა, მზია კურტანიძემ, განაცხადა, რომ „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობისათვის“ მათ ფართი და თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურებისათვის 5 ათასი ლარი ესაჭიროებათ. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 59 უსინათლო პიროვნებაა.

თამარ მაღრაძე

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲘᲐᲚᲒᲠᲔ ᲐᲠᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, არჩილ მაღრაძის, ინფორმაციით მარელისის ცენტრალურ გზაზე ჩამოწოლილი მენყერის შედეგად გამოწვეული პრობლემა აღმოფხვრილია. მისივე თქმით, ახლად მოასფალტებულ გზაზე მეწყერით გამოწვეული ჩახერგილი გზის გაწმენდითი სამუშაოები რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროისთვის გზაზე გადაადგილება საფრთხეს არ წარმოადგენს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და იგი შპს „ხარაგაული-2011- მა“ შეასრულა. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოხდა ასევე გზის გასწვრივ სანიაღვრე არხების გაწმენდა.

პროექტის ფარგლებში „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა-მოვალეობა“ მორიგი შეხვედრა გაიმართა

28 მარტს მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხელმძღვანელმა, ხათუნა მანჯავიძემ, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მორიგი შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანი პროექტში „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა -მოვალეობა“ ჩართული კოორდინატორი ქალბატონების, გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის საკითხებზე, ცნობიერების ამაღლება გახლდათ. პროექტი ინოვაციურია და სპონტანური ნაგავსაყრელების აღრიცხვასა და მათ გაკულტურებას ითვალისწინებს. ხათუნა მანჯავიძე აღნიშნავს, რომ საქართველო გარემოსდაცვითი პრობლემების წინაშე დგას. სოფლებში მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს , გზისპირას ან მდინარის ნაპირას ყრის, რის შემდეგაც წარმოიქმნება მცირე ზომის უკონტროლო ნაგავსაყრელები. მისივე განმარტებით, ძალიან ხშირია გარემოს დაბინძურება ისეთი ნარჩენებით, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო გარემო პირობებს, არამედ ადამიანების ჯანმრთელობასაც. ქალბატონი ხათუნა თვლის, რომ საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს მეტი ყურადღება, იზრუნოს თავის სამშობლოზე. როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. მისივე თქმით, ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე გარემოსდაცვით პროგრამებში აქტიურადაა ჩართული და მომავალში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები დაიგეგმა.

შეხვედრას ესწრებოდა გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, ინგა ბერაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი საკმაოდ საინტერესოა და იგი ქალბატონებს აძლევს გარემოზე ზრუნვისა და დასაქმების საშუალებას. მისივე თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, ფინანსური თუ მატერიალური დახმარება გაუწიოს ასეთი საინტერესო იდეების განხორციელებას.

შეხვედრის ბოლოს პროექტის ხელმძღვანელმა, ხათუნა მანჯავიძემ, ინგა ბერაძეს პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

თამარ მაღრაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თავისუფალ პროფკავშირებთან დარგობრივი შეთანხმება გააფორმა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სკოლის დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა, რომელზეც რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, განათლების სამინისტროსა და პროფკავშირებს შორის დარგობრივი ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულთა ხელშეწყობასა და მათ მხარდაჭერაზე ორიენტირებულ დარგობრივ შეთანხმებას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა (სპმთპ) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 16 მარტს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ მოეწერა ხელი. შეხვედრას 300 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის, 190-ზე მეტი სპმთპ -ის წევრი პედაგოგი, 58 სკოლის დირექტორი, 15 რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საქართველოს 65 რაიონიდან. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის პირები და საერთაშორისო წარმომადგენლები.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლალი სებისკვერაძე, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ხვედელიძე და ბაზალეთის სკოლის პედაგოგი თეა ტალახაძე ესწრებოდნენ.

დარგობრივი შეთანხმების ძირითადი პრინციპებია: კანონმდებლობის დაცვა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული ინტერესებისა და უფლებების დაცვა. მხარეთა თანასწორუფლებიანობა; ვალდებულების აღების ნებაყოფლობითობა; ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა; ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობა.

დღეისათვის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში გაერთიანებულია საგანმანათლებლო დაწესებულების 40 000-ზე მეტი დასაქმებული, რაც დარგობრივი შეთანხმების გაფორმებისთვის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

დირექტორებთან შეხვედრის დროს დავით კიკნაძემ მადლობა გადაუხადა პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ლალი სებისკვერაძეს, აქტიური თანამშრომლობისათვის და სკოლების წარმომადგენლებს მეტი ჩართულობისაკენ მოუწოდა. ლალი სებისკვერაძემ სკოლის დირექტორებსა და რესურსცენტრის წარმომადგენლებს ამ მნიშვნელოვანი მემორანდუმის გაფორმება მიულოცა და დასძინა,რომ 16 მარტი მართლაც ისტორიული დღეა, რადგან ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება სამომავლო თანამშრომლობასა და ურთიერთობას სასიკეთოდ წაადგება.

ლელა ᲑᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 3 535 500 ლარი გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის N569 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს 3 535 500 ლარი გამოეყო.

აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განხორციელდება:

1.სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღისთვი შენობის რეაბილიტაცია - 190 720 ლარი;

2. საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (სოფელი ვანი 3 760 მეტრი, სოფელი ჩხერი 1 000 მეტრი) გზების რეაბილიტაცია 4, 8 კმ - 932 210 ლარი;

3. წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (სოფელი ხონი 400 მეტრი, სოფელი ლახუნდარა 1 500 მეტრი) გზების რეაბილიტაცია 1 900 მეტრი - 344 000 ლარი;

4. ხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია 1,5 კმ. – 262 950 ლარი;

5. ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია 2 კმ, სოფელ ვაშლევის პირველი უბნის (ტაძართან) გზის რეაბილიტაცია 880 მეტრი - 450 130 ლარი;

6. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია 685 მეტრი - 66 490 ლარი;

7. მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 1 კმ. – 152 750 ლარი;

8. სოფელ ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 443 460 ლარი;

9. ნებოძირის გზის რეაბილიტაცია - 151 970 ლარი;

10. სოფელ ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 250 000 ლარი;

11. სოფელ ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონება - 61 700 ლარი;

12. სოფელ ვარძიაში პირველი უბნის გზის მობეტონება 500 მეტრი - 59 500 ლარი;

13. სოფელ გოლათუბანში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 500 მეტრი - 51 000 ლარი;

14. სოფელ ვერტყვიჭალაში სასოფლო გზის მობეტონება - 118 600 ლარი.

პროექტების განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი თანადაფინანსების სახით დამატებით 5% -ს გამოყოფს, რომელიც უკვე გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის ხარაგაული ერთადერთია, რომელსაც ინფრასტრუქტურის პროექტის განსახორციელებლად სამ მილიონ - ნახევარ ლარზე მეტი გამოეყო.

საკრებულოს წევრებმა ჯუღტურის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს

3 აპრილს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, წარმოადგინა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, ირინე ჩხეიძეს მადლობა გადაუხადა აქტიური მუშაობისათვის და აქვე აღნიშნა, რომ კულტურის სფეროში მოღვაწე ა(ა)იპ-ებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საკრებულოს წევრების ინფორმირება მოახდინონ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ვარლამ ჭიპაშვილს, წლებია, პრეტენზია აქვს ა(ა)იპ-ების მიმართ. მისი აზრით, ღონისძიებებში ჩართვის საშუალება სოფლის მოსახლეობასაც უნდა ჰქონდეთ. ჭიპაშვილმა საკითხის მოგვარება ქალბატონ ირინე ჩხეიძეს სთხოვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, სხდომაზე ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის ქალთა კოლონიაში სტუმრობა გაიხსენა, რისთვისაც თეატრის რეჟისორს მადლობა გადაუხადა.

დეპუტატების უმრავლესობამ კულტურის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს. ამავე სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოისმინეს და დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

„ვის წყალობა ზეცის თან სდევს...“

როცა უნდა შეხვდე პიროვნებას, რომელიც, საამაყო წინაპართაგან მოყოლებული, საქართველოსთან და „ქართლის ბედთან“ იყო და არის დაკავშირებული, შეზრდილ-შესისხლხორცებული, უზომო პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება გიპყრობს მის მიმართ და მოუთმენლად ელოდები მასთან პირისპირ შეხვედრის სანეტარო წუთებს...

სწორედ ამგვარი იყო ჩემი განცდა, და არა მარტო ჩემი, არამედ იმ საზოგადოების თითოეული წევრისა, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) ერთობ აქტუალური პროექტით „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“ ემასპინძლა დიდი მწერლისა და მამულიშვილის, ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილისთვის, რომელიც, როგორც ბაბუის სეხნია, მაღალი პატრიოტული შეგნებით აგრძელებს იმ ძნელადსავალ გზებზე სვლას, საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ჭეშმარიტ მომავალს რომ უკავშირდება...

როგორც რიგითმა მსმენელმა, არ შემიძლია, ჩემი აღფრთოვანება არ გამოვხატო იმ მადლიანი სწორქართული მეტყველების მიმართ, რომლითაც ორატორმა პირველი წუთებიდანვე დაიპყრო აუდიტორია. მისმა „კრიალოსანმა“ შთამბეჭდავად ჩამომარცვლა ჩვენი უახლოესი ისტორიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დღეები. ხაზი გაუსვა იმ მძიმე ატმოსფეროს, რომელშიც უხდებოდათ ყოფა-მოღვაწეობა მამულის ბედნიერებისათვის შეწირულ ქართველ დისიდენტებს.

როცა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, სიღრმისეულად განსაზღვრა დრო სამომავლო, და საზოგადოებას მიმართა: „თქვენ გიხარიათ, მაგრამ ბრძოლა ახლა იწყება!“ რა აზრობრივ - სინონიმური დამთხვევაა პოეტის მიერ გამოხატული ქართველთა განუშორებელი ბედისა - „ომში ვართ, ომში ვიყავით, ომში ვიქნებით ხვალეც...“

დროთა სვლა, ჭეშმარიტი ისტორია, ყველაფერს ამზეურებს, ჩამოაშორებს იმ ბურუსს, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ჩქმალავს რეალობის ბევრ ფაქტს. გვწამს, ასე ჩამოეხსნება ფარდა ხიბულისა და ბორითის ტრაგედიებს. ჭეშმარიტი სამართალძიება დაადგენს, რომ ზვიადის სულში მუდამ „სიცოცხლე ნავარდობდა,“ ათასგვარ ჯოჯოხეთსა და ჯურღმულებს გაუძლო მისმა გაუტეხელმა სულმა და განა შეიძლება იფიქრო, რომ მან თვითმკვლელობით გაწყვიტა სიცოცხლესთან მიერთებული ძლიერი არტერია? რასაკვირველია, არა და არა!

***

„თქვენი კოლხური კოშკი
როგორ უნდა დატოვოთ?..“

როცა მსმენელთა თხოვნით, ორატორი თავისი სახელოვანი წინაპრის, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას, ამაღლებული ცხოვრების ეპიზოდებს შეეხო, კოცონივით აგიზგიზდა ჩემს სულში იმ დიდი სიყვარულის გრძნობა, რასაც გამორჩეული რომანისტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან ყოველი მიახლებისას განვიცდი...

...მომაგონდა 1975 წლის 20 ივლისი, როცა მწერალთა სასახლეში დასვენებული დიდი პროზაიკოსის ცხედარი მარადიულ ყოფასთან შესაერთებლად გულში უნდა ჩაეკრა კოლხური კოშკის უმშვენიერეს ეზოს, სადაც მას ელოდნენ: უსათნოესი მეუღლე, თავად ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ასული, მირანდა და საფიცარი ქალიშვილი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, სამზეოდან ნაადრევად წასული, თამარ გამსახურდია...

...შავებით შებურული ავტომობილი მწერალთა სასახლეს მოადგა შავჩოხოსანი ვაჟკაცებით. ეს მწერლის ვაჟი, ზვიად გამსახურდია, იყო თავის ქრისტესმიერ ძმებთან ერთად.

რუსთაველის პროსპექტი... ქაშვეთის ზარების გუგუნს ერწყმოდა რეპროდუქტორებიდან მწერლის შთამბეჭდავი ხმა, მის თხზულებათა პერსონაჟების დიალოგები...

პროცესიამ გალის ქუჩისაკენ, კოლხური კოშკისაკენ, შეუხვია. მალე ეზოს მისადგომები ადამიანთა ნაკადს ვეღარ იტევდა. არადა, ჩემი ემოციების პატრონი, როგორ შევძლებდი უკან ისე გამობრუნებას, რომ დიდი მწერლის ძვალშესალაგი, მის უახლოეს ადამიანთა საფლავები არ მეხილა... მესამე ნაკადზე ფილმ „დიდოსტატის მარჯვენის“ მსახიობები (ლალი ბადურაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე და სხვ.) შედიოდნენ. შევძელი და მათ ნაკადს ჩემნაირ სამიოდე არამსახიობთან ერთად, შევუერთდი. იქვე, ჭიშკრის მახლობლად, „შორენას საყვარელ შველს, ნებიერას,“ მისწვდა ჩვენი მზერა.

ახლა არ ვიცი და მაშინ ეზოს კონსტრუქციას საფლავები თითქმის არ არღვევდა... უბრალოდ, კოინდრისებრი ბალახით იყო შემოფარგლული ორი უძვირფასესი სამარე...

როგორ ესადაგებოდა ბატონ კონსტანტინეს არჩევანს - დაეკრძალათ მხოლოდ კოლხური კოშკის ეზოში - პოეტის სტრიქონები:

„კონსტანტინე ბატონო,
გლოვობს დედაბუნებაც,
თქვენ გოეთეს ასაკში
მოსწყდით დროთა ბრუნებას...
ამ ერთს ვეღარ ვიჯერებთ,
კონსტანტინე ბატონო,
თქვენი კოლხური კოშკი
როგორ უნდა დატოვოთ?“

აკი არც დატოვა... კოლხური კოშკიდან თითქოს კვლავ ისმის მისი მგზნებარე გულისცემა, რომელიც ერწყმის მთელი საქართველოს მაჯისცემას, თითქოს და მოწონების ნიშნად თანხმობას უცხადებს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული პირმშოს, ზვიად გამსახურდიას, უფლის შთაგონებით ამოთქმულ ჭეშმარიტებას:

„ვის წყალობა ზეცის თან სდევს
მსხვერპლის არდარიდებით,
ის აღდგომის შარავანდედს
შეიმოსავს დიდებით!“

***

ძვირფასო სტუმარო, ბატონო კონსტანტინე!

ხარაგაულელთა მიმართ თქვენგან ესოდენ დაფასებისა და ჩვენთან სტუმრობის ნიშნად მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა.

ამ შეხვედრიდან სულ რამდენიმე დღეში, 31 მარტს, თქვენ სათაყვანო მამას, ქართველთა პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, დაბადებიდან 78 წელი შეუსრულდა. რომ არა 1993 წლის 31 დეკემბრის ხიბულის ტრაგედია, ვინ იცის, კიდევ რამდენი პატრიოტული ფურცლით შეივსებიოდა საქართველოს უახლესი ისტორია...

გვწამს, რომ „ივერია გაბრწყინდება“ და ყველა ის მამულიშვილი შეიმოსავს ზეაღდგომის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, შარავანდედს „ვის წყალობა ზეცის თან სდევს...“

ჭეშმარიტად!

მერი გიორგიძე

მალე აშრიალდება „სიყვარულის ხეივნები...“

როცა ამბობენ, გული არ ბერდებაო, ვეთანხმები. წლები მემატება, თუმცა „გული შემრჩა მარად უბერებელი.“ ჩემს პროფესიაზე რომ არაფერი ვთქვა, რომელიც თავდავიწყებით მიყვარს, მახარებს ყოველი მოსწავლის უმნიშვნელო წარმატებაც კი და მუდამ თვალს ვადევნებ ყველა იმ ინიციატივას, რომელიც ხშირად ხარაგაულიდან იღებს სათავეს...

წლევანდელ 22 მარტს უაღრესად ბედნიერ თარიღად მივიჩნევ ჩემს ბიოგრაფიაში. ამ დღეს მონაწილეობა მივიღე იმ საშვილიშვილო საქმეში, რომელიც „ სიყვარულის ხეივნების“ გაშენებას უკავშირდება. და, რაც მთავარია, ვამაყობ, რომ ამ პატრიოტული ინიციატივის თაოსანია ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის (ყოფილი რკინიგზის მე-10 სკოლა) აღზრდილი, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამფუძნებელი, ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

ადრიან დილით ხარაგაულის დელეგაციის წევრები შევუერთდით თბილისის დელეგაციას, რომელიც დაკომპლექტებული იყო მეცნიერებისა და ხელოვანების თვალსაჩინო წარმომადგენლებით.

პირველად ცნობილი მწერლისა და მამულიშვილის, ოტია იოსელიანის, კერას ვესტუმრეთ წყალტუბოში (ხელოვნების ქ.N1)

საფლავთან პატივი მივაგეთ მწერლის მარადიულ ხსოვნას, ხოლო შემდეგ სიმბოლურად რამდენიმე ცაცხვის ხე დავრგეთ გარჯა-შრომით დამშვენებულ ეზოში.

მწერლის სახლში, რომელშიც ცნობილ პროზაიკოსს ლიტერატურული სალონი ჰქონდა დაფუძნებული, გულთბილი დახვედრა მოგვიწყვეს მასპინძლებმა – დაჩი იოსელიანმა და მისი ოჯახის წევრებმა.

ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, მერი გიორგიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა ხაზი გაუსვეს იმ დიდ სიყვარულს, რაც ბატონ ოტიას ხარაგაულის საზოგადოებასთან აკავშირებდა, რომ ამ კედლებშიც ხშირად სტუმრებიან ხარაგაულელები დიდ მამულიშვილს.

წყალტუბოსა და ქუთაისის არაერთი ცნობილი პიროვნება შემოუერთდა იმ დღეს „სიყვარულის ხეივნის“ გაშენების უმშვენიერეს აქციას.

მალე გეზი წყალტუბოს ცენტრისაკენ ავიღეთ. აქ, ოტია იოსელიანის ქუჩაზე, ჩვენთან ერთად სასიამოვნო პროცესში აქტიურად ჩაერთნენ მწერლის ვაჟი, ბატონი დაჩი იოსელიანი, რძალი თეა გიორგაძე, და ბაბუის სეხნია შვილიშვილი, ოტია იოსელიანი.

ქუთაისში მოსწავლე -ახალგაზრდობის პარკს (დირექტორი, მწერალი გიზო თავაძე) ვეწვიეთ. ძალიან გავიხარეთ, როცა ამ ინიციატივის მიმართ მადლიერება გამოხატა ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გენადი მარგველაშვილმა. მან ხაზი გაუსვა იმ სასიკეთო ზრუნვას, რასაც პარკის ადმინისტრაცია ახორციელებს, რათა ეს უმშვენიერესი ადგილი კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს მომსვლელთათვის.

„– სიყვარული ყოვლისშემძლე ძალაა და ჩვენი გაშენებული ხეივნებიც ამ ძალას კიდევ უფრო აამაღლებს, გააძლიერებს.“

– დასძინა დეპუტატმა.

გამომგზავრებისას, როგორც ქალბატონმა იზამ აღნიშნა, უახლოეს მომავალში ხეივნები გუდამაყრის ხეობაშიც გაშენდება.

გვწამს, სულ მალე სრულიად საქართველოში აშრიალდება „სიყვარულის ხეივნები...“

ვენერა კიკნაძე,
დაბის მესამე საჯარო
სკოლის პედაგოგი

პროკურორმა კობა სირაძემ ოჯახური ძალადობის თემაზე ხარაგაულში შეხვედრა გამართა

ხარაგაულის კინოთეატრში ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კობა სირაძემ, „ოჯახური ძალადობის“ თემაზე შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები. ბატონმა კობამ აუდიტორიას კიდევ ერთხელ შეახსენა ის მტკივნეული თემა, რასაც ოჯახური ძალადობა ჰქვია და მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავი პასუხები გასცა. პროკურორის ინფორმაციით, ოჯახური ძალადობის შემთხვევები საკმაოდ ბევრია, თუმცა ხარაგაული სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით წყნარი რაიონია და დანაშაულთა რაოდენობაც მცირეა. მისივე თქმით, საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ოჯახური ძალადობა მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფაა, მაგრამ არსებობს ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა. ძალადობად ითვლება ასევე ქცევის კონტროლი. კობა სირაძე ამბობს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხშირად, ქალბატონები არიან და, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ისინი ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავენ. პროკურორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ასეთი პრეცედენტების არსებობის შემთხვევაში აუცილებლად უნდა ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოს.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სასჯელი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ფაქტს არ აქვს ადგილი შეიძლება გამოიცეს შემაკავებელი ან დაცვის ორდერი, რომლის მიხედვითაც მოძალადეს, გარკვეული ვადით, ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება, ტელეფონით საუბარი და ა.შ.

შეხვედრაზე კობა სირაძემ ავტოსაგზაო შემთხვევებსა და ნარკოდანაშაულზეც ისაუბრა. მისი ინფორმაციით, ხარაგაულში ნარკოდანაშაულისა და ქურდობის საკმაოდ ბევრი ფაქტებია გამოვლენილი. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო შემთხვევებს, მას ადგილი აქვს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მხრიდან. პროკურორი განმარტავს, რომ ნარკოდანაშაულის, ოჯახური ძალადობისა და ავტოსანტრანსპორტო დანაშაულები შემთხვევების დროს, არასრულწლოვან მოქალაქეებს, ზოგ შემთხვევაში, სასჯელის ფორმები უმსუბუქდებათ და მათ განრიდება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახით ეფარდებათ.

ეკა შავიძე

პროექტის „თანამშრომლობა წარმატებული მომავლისათვის“ ფარგლებში პირველი ღონისძიება მოეწყო

29 მარტს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში პროექტის „თანამშრომლობა წარმატებული მომავლისათვის“ ფარგლებში პირველი ღონისძიება მოეწყო. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ერთმანეთს თავიანთი შემოქმედება გააცნეს, წაიკითხეს საკუთარი და საყვარელი პოეტების ლექსები, ჩანახატები. გამართეს დისკუსია აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე. დისკუსიაში ჩაერთნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. განსაკუთრებით საინტერესო ლექსები წარმოადგინეს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზი ბარბაქაძემ და მოლითის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი კაკიაშვილმა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ასევე მესამე საჯარო სკოლის მოსწავლის, ანი მეიფარიანის, ლექსები. განსაკუთრებით შთამბეჭდავად წაიკითხა ლექსი „გურიის მთები“ ირინე ჩხეიძემ (განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი) და მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, განაცხადა, რომ მსგავსი საინტრესო ღონისძიებები ხშირად ჩატარდება, თუ ახალგაზრდების მხრიდან ამის სურვილი იქნება.

შეხვედრას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, ნათია კაციტაძე ესწრებოდნენ, რომლებიც ახალგაზრდული ფორუმის წევრების მხარდამჭერები არიან. დასასრულს მარინა მუმლაძემ მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა. მონაწილეებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ მომდევნო შეხვედრისას ფილმის ჩვენება გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულმა პროექტმა, 5 თებერვალს ქუთაისში გამართულ ახალგაზრდულ ფორუმზე, მოწონება დაიმსახურა, რომელიც ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებმა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მარინა მუმლაძემ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბოსლევისა და ზედა საქარის საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან ერთად წარადგინა.

ფორუმი ორგანიზებული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია „PH international“, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

ლელა გუგულაშვილი

შაქრიანი დიაბეტის შესახებ ბორის სკოლა-პანსიონში ლექცია-სემინარი ჩატარდა

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში, აგრძელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა დაავადების შესახებ. ამჟამად, ცენტრის იმუნიზაციის განყოფილების უფროსის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ, ბორის სკოლა-პანსიონში ლექცია-სემინარი გამართა თემაზე - „შაქრიანი დიაბეტი არა დაავადება, არამედ ცხოვრების განსაკუთრებული წესია.“ მსმენელებს განემარტათ დიაბეტის, როგორც დაავადების მართვის საშუალებები. მათ მიიღეს სრული ინფორმაცია, თუ რა არის შაქრიანი დიაბეტი და რა იწვევს მას. რა რისკ-ფაქტორები არსებობს ამ დაავადების, განვითარებისა და რა გართულებები ახლავს თან. საუბარი იყო ასევე თუ რა რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ მოქალაქეებმა, დიაბეტი საწყის პერიოდშივე რომ აღმოიფხვრას.

დიაბეტი განკურნებადია!

დიაბეტი კონტროლირებადია!

დიაბეტის გართულებების პრევენცია შესაძლებელია!

დროული დიაგნოსტირება პაციენტებისთვის, საკუთარი თავის მოვლის სწავლება და ეფექტური მკურნალობის ხელმისაწვდომობა შაქრიანი დიაბეტის, როგორც დაავადების, აღმოფხვრის აუცილებელი კომპონენტებია.

ხარაგაულში თამაზ გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა

პირველ აპრილს ხარაგაულში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თამაზ გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა. შეჯიბრი, 2005-2006 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ხარაგაულის, ბორჯომის, ხაშურის, ქუთაისის, ბაღდათის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოსა და ჭიათურის მოჭიდავეთა გუნდები.

ტურნირში წარმატებული იყო ხარაგაულელი ახალგაზრდების მონაწილეობა. პირველობა სხვადასხვა წონით კატეგორიაში რამდენიმე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა გადაინაწილეს, რაც შეეხება ხარაგაულელ მოჭიდავეებს- მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს: ჯაბა სარალიძემ (23კგ), ზურაბ ტოროშელიძემ(26კგ), ნოდარ ბაკაშვილმა (35კგ), ვახტანგ ნიქაბაძემ (38კგ) და ლუკა ვეფხვაძემ (59კგ). მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა სამ სპორტსმენს: ტარიელ ჭიჭინაძეს (20კ), მიხეილ ქართველიშვილს (26კგ) და ლუკა სიხარულიძეს (66კგ).

თამაზ გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს ესწრებოდნენ: ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამარჯვებულ სპორტსმენებს სიგელები გადასცეს და შემდგომში წარმატებები უსურვეს.

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში 5000 ლარიანი გრანტის მოპოვებასთან დაკავშირებით დისტანციური პრეზენტაცია განხორციელდა

29 მარტს ხარაგაულის ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში განხორციელდა დისტანციური პრეზენტაცია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან 5 000 ლარიანი გრანტის მოპოვებასთან დაკავშირებით. პროექტის პროტოტიპირებაზე სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი კინწურაშვილმა ისაუბრა. მან დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო პროექტის მიზნები და ამოცანები. შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, პასუხი მიეღო მათთვის საინტერესო კითხვებზე. პირდაპირი ჩართვა ხარაგაულის პარალელურად ბაღდათში, ჭოპორტსა და ზუგდიდის ინოვაციების ცენტრებში მიმდინარეობდა.

აღნიშნული გრანტი შეეხება მხოლოდ ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის პროტოტიპის შექმნას და არ გაიცემა საწარმო, მარკეტინგული და სხვა დანიშნულების პროექტზე. მოქალაქეს შეეძლება შევსებული და ხელმოწერილი აპლიკაცია გადააგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: grants@gita.gov.ge. ამის შემდგომ სააგენტოს წარმომადგენელი დაუკავშირდება გრანტის მსურველს და ეცნობება, გადავიდა თუ არა პროექტი შემდეგ - გასაუბრების ეტაპზე.საბოლოო გადაწყვეტილებას გრანტის გაცემაზე იღებს სააგენტოში არსებული საბჭო.

აპლიკაციის შეტანა შესაძლებელია წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე სააგენტოს აქვს 1 თვის ვადა.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დაუკავშირდნენ ხარაგაულის ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრს, შემდეგ მისამართზე: სოლომონ მეფის N50 .

ტელ: 0433 22- 15 - 85; 577 387 - 388; 577 95 - 32 - 62 ;

ასევე საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, მისამართზე, ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა N7.

ტ ელ : +(995) 599 98 64 99 .

E-mail: info@gita.gov.ge.

http://www.gita.gov.ge.

ლელა გუგულაშვილი

მადლობა მათ!

ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადამიანთა დღეგრძელი ცხოვრების აუცილებელი პირობაა. სამწუხაროდ, ათასგვარ მიზეზთა გამო, ხშირად დაუდევრად ვეპყრობით საკუთარ ჯანმრთელობას და რეგულარულად ვერ ვაკონტროლებთ მას.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, მასწავლებელთა მიმართ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ხარაგაულის ჯანდაცვის სამსახურმა, რომელმაც უფასო ტრანსპორტით გვაწვია ქუთაისის სკრინინგ - ცენტრ „ჰერას.“

დიდი მადლობა ყველა იმ პიროვნებას, რომელთაც წვლილი შეიტანეს ჩვენი ჯანმრთელობის პრობლემების გამოკვლევაში, რათა შესაბამისი მკურნალობით დროულად მოგვარდეს ყოველივე ეს.

N2 საჯარო სკოლის პედაგოგები

საგალობელი ხარაგაულს

შენით თენდება, შენით ღამდება,
ზეცა დაგნათის თვალებვარსკვლავა,
დევგმირები გყავს მცველად კარიბჭის,
ირგვლივ ლამაზი მთები დამსხდარან.
ციხე - კოშკები დგანან ამაყად
გადაქცეულნი ზღაპრად, არაკად,
ჩხერიმელამ კი სისხამ დილაზე
დიდი წარსული ჩაარაკრაკა
ძუძუ აწოვე შვილებს ღირსეულთ,
შენი სიკეთით მუდამ დამტკბარან,
ჭკვიანურად და ლამაზად ზრდილნი
ერის და ქვეყნის სახე გამხდარან...
სტუმრის მიღების წესით და მადლით
გაციებული გულიც გამთბარა,
ბაგემღიმარი დიასახლისი
ხაჭაპურს გაწვდის ცხელ-ცხელს,
თანთქალას...
და ამღერდება ცა და ხმელეთი,
ქალი თუ კაცი, დიდი - პატარა,
ტანში დაგბურძგლავს, რომ ხარ ქართველი
რომ ბედმა ამ გზით გამოგატარა.
ჯადოსნურ ხიბლით ამ მთა-გორების,
შენი მეხოტბე ბევრი გამხდარა
ალბათ არა გყავს შვილი არც ერთი,
შენთან ალერსით ვინც არ დამთვრალა.

ნიკო წიკლაური

ხარაგაული, რომ ხარაგაულელს უყვარდეს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ხარაგაული რომ ისეთი გრძნობით შეუყვარდება მთიელ კაცს, როგორიც ამ სტრიქონებშია დავანებული, ეს გასაკვირი არა, მაგრამ იმერლებისგან სანაცვლო სიყვარულგებას რომ მოითხოვს, ეს აუცილებელია...

თუმც ფაქტი სახეზეა...

ხარაგაულის ქუჩებში ამაყად დააბიჯებს იმერელთაგან სიყვარულით გარემოსილი, კარგი ოჯახის მესაჭე, ხარაგაულის კულტურული ცხოვრების წინსვლის ერთ-ერთი შემოქმედი, გორანელი მოლექსე - მოკაფიავე ხვთისო წიკლაურის პირმშო, ავტორი, ნიკოლოზ წიკლაური...

მერი გიორგიძე

ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ თბილისის „შევარდენი“ დაამარცხა

26 მარტს ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ თბილისის „შევარდენი“ 3:0 დაამარცხა. მატჩის მე-2 წუთზე პირველი გოლი გრიგოლ ფირცხალავამ გაიტანა, მეორე გოლი მე-17 წუთზე ირაკლი ხეცურიანმა. მესამე გოლით კი ერეკლე ლებანიძემ გუნდს საბოლოო გამარჯვება მოუტანა .

საქართველოს ჩემპიონატის (ლიგა - 3) მორიგ შეხვედრაზე „ჩხერიმელამ“ 3 ქულა მოიპოვა და ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

„ჩხერიმელას“ ძირითად შემადგენლობაში არიან:

ალექსანდრე გიორგაძე ;
დავით ჩხეიძე ;
ილო დონდოლაძე;
გიორგი დვალი ;
ბადრი ქავთარაძე ;
ერეკლე ლებანიძე;
ვახტანგ გიორგაშვილი ;
პატრიკ ასამუა ;
ირაკლი ხეცურიანი;
გრიგოლ ფირცხალავა;
გიორგი გოგილაშვილი;
სათადარიგო შემადგენლობაში შედიან:
ზურაბ გოლუბიანი;
ბექა ოკრიბელაშვილი;
ირაკლი მაღრაძე;
ვასილ გოგიტიძე;
გოჩა გაბულაშვილი;
რონალდ კელი კოტო.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12